

დავალბა 1

1. გაიხსენე არაბთა სახალიფოსა და დასავლეთ საქართველოს შორის პოლიტიკური დამოკიდებულება.
2. რა ფაქტორები უწყობდა ხელს აფხაზთა საერისთაოს დაწინაურებას?
3. როგორ ფიქრობ, რატომ ეწოდა დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის სამეფო, და არა – კვლავ ეგრისი?
4. წყარო 2-ში ჩამოთვლილი საერისთაოების მიხედვით განსაზღვრე აფხაზეთის სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე აფხაზეთის სამეფომ სხვა სამეფო-სამთავროებთან ერთად დაიწყო ზრუნვა ტერიტორიის გაფართოებაზე, რაც თანდათან საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში გადაიზარდა. ბრძოლის უმთავრეს ობიექტად იმთავითვე ქართლი იქცა, რომლის ფლობასაც გარდა პოლიტიკურ-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობისა, გარკვეული ისტორიული დატვირთვაც ჰქონდა – ერთიანი საქართველოს მეფე აუცილებლად ქართლის მამუც უნდა ყოფილიყო.

დამოუკიდებლობისა და საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლამ აფხაზეთის სამეფო კარის წინაშე ეკლესიის პრობლემაც დააყენა.

დასავლეთ საქართველოში არსებული ეპარქიები – ლაზეთის სამიტროპოლიტო და აფხაზეთის სააარქიებისკოპოსო, ბიზანტიის ეკლესიას ექვემდებარებოდნენ. ეპისკოპოსად კურთხევისას ხელდასხმას არა მცხეთის კათალიკოსისაგან, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან იღებდნენ; ღვთისმსახურება ეკლესიებში ბერძნულ ენაზე აღევლინებოდა.

წყარო 3

„ამისგანვე (ლენ აფხაზთა მეფისთვის) საგონებელ არს განთავისუფლება აფხაზთა კათალიკოსისა ნებისთავე ბერძენთათა“.

„მაღალს ადგილზედ არს ჭყონდიდი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი... ესე აღაშენა მეფემან აფხაზთამან გიორგიმ და შეამკო ყოვლითა შემკობილითა საეკლესიოსათა“.

ვახუშტი ბატონიშვილი.

წყარო 4

„დასავლეთ საქართველოს მიერ პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებას უშუალოდ უკავშირდება ეკლესიურად გამოყოფის საკითხი. საეკლესიო გამოყოფა ერთბაშად არ ხდება. ჯერ ხორციელდება ეგრის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება, როგორც კონსტანტინოპოლის სამწყსოში შემაგალი ეპარქიისა, რომელსაც სათავეში აფხაზთა კათალიკოსი ედგა; შემდეგ IX ს-ის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყოფა კონსტანტინოპოლს და მცხეთის ტახტს უერთიანდება, ხოლო აფხაზთა კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს უქვემდებარდება. კონსტანტინოპოლიდან გამოყოფის შემდეგ იწყება ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება (ბელია, მოქვი, ჭყონდიდი)“.

მ. ლორთქიფანიძე.

წყარო 5

„ასეთ ვითარებაში შემუშავდა „ქართლის“ პოლიტიკური მნიშვნელობის ის ფართო გაგება, რომელიც გვამცნობს, რომ „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითაი ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების...“. ნიშანდობლივია, რომ გიორგი მერჩულეს ეს ფორმულა IX ს. შუა წლების მოვლენებს ასახავს“.

ნ. ბერძენიშვილი

კითხვები

1. როგორ ფიქრობ, რატომ იწყებენ აფხაზეთის მეფეები ბრძოლას დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის?
2. რატომ ცდილობენ აფხაზი მეფეები დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესიის მცხეთის საკათალიკოსოსთვის დაქვემდებარებას?

დავალბა 2

შეაფასე აფხაზეთის საეკლესიო რეფორმის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

❖ ისტორიული წყაროების მიხედვით, საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლაში აღანიები აფხაზ მეფეთა მოკავშირეებად გვევლინებიან. ურთიერთობის სიმტკიცისათვის ერთმორწმუნეობა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. შესაბამისად, ბიზანტიისა და აფხაზეთის სამეფო კარი ერთნაირი მონდობებით ცდილობდა ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებას. წარმატებისთვის, როგორც ჩანს, ორივე მხარეს

მიუღწევია – ოსეთის არქივისკოპოსი კონსტანტინოპოლის მიერ დაინიშნა, ხოლო აფხაზეთის მეფემ უშუალო მონაწილეობა მიიღო ალანთა მთავრისა და მისი ახლობლების მონათვლაში.

❖ ქრისტიანობის მთავარი სიმბოლიკის ქართული სახელი „ჯვარი“ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, ხოლო დასავლეთში მას ბიზანტიის გავლენით ბერძნულ შესატყვისს – „სტავროსს“ უწოდებდნენ. აფხაზი მეფეების მიერ აღებული პოლიტიკური კურსის შედეგად „ჯვარი“ არათუ მთელ საქართველოში, ოსურ ენაშიც მყარად დამკვიდრდა.

❖ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში (725-849 წწ.) მსოფლიოს ეკლესია „ხატმებრძოლებსა“ და „ხატის თაყვანისმცემელთა“ შორის განაღებულმა ბრძოლამ მოიცვა. ბიზანტიის კეისარმა და უმაღლესმა სამღვდლოებამ ხატი კერპად შერაცხეს და მას დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს. ხატები განადგურეს, მის თაყვანისმცემლებს საპყრობილით, ექსორით, ხშირად სიკვდილითაც კი სჯიდნენ. კონსტანტინოპოლის საწინააღმდეგოდ, დასავლეთის ეკლესიამ (რომის პაპმა) ხატის თაყვანისმცემელთა მხარე დაიჭირა – პაპმა გრიგოლ III-მ ხატების წინააღმდეგ მებრძოლნი შეაჩვენა. აღმოსავლეთის ეკლესიის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელმაც ბიზანტიის დამოკიდებულება არ გაიზიარა, მცხეთის საკათალიკოსო იყო.



სურ. 2.4.1.3. ბრძოლა ხატისთაყვანისმცემლებსა და ხატმებრძოლებს შორის.

ასე შეიქმნა შემდეგი სახის პრობლემა – საეპისკოპოსოები რომლებიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ, იძულებული გახდნენ, უარი ეთქვათ ახალი ეპისკოპოსის ბიზანტიაში ხელდასმმაზე და იმ ეკლესიისათვის მიემართათ, სადაც ხატმებრძოლობა არ იყო გაბატონებული. სწორედ ასე იქცევა გუთების ეპისკოპოსი იოანე, რომელიც საბერძნეთიდან უკუერთხელები გამობრუნდა და ხელდასმა იბერიაში, ქართველი კათალიკოსისაგან მიიღო:

„იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოვებოდა. და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად.“ (გიორგი მთაწმინდელი)

დამოუკიდებელი სამუშაო

1. წერილობით ჩამოაყალიბე და დაასაბუთე შენი აზრი, თუ რამდენად შეუწყობდა ხელს ხატმებრძოლობა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყოფას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან.
2. იმსჯელე, რა კავშირია სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ეკლესიის დამოუკიდებლობას შორის.

განმარტებები

ექსორია – სამშობლოდან გაძევება ან გადახვეწა უცხო მხარეში.

§ 2. კახეთის სამეფო

VIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის ქართლის საერისთავოს კახეთის სამთავრო გამოეყო. რომელმაც მოგვიანებით, მეზობელი ჰერეთიც შეიერთა.

წყარო 1

„განდგა გრიგორი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი... იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად“.

ვახუშტი ბატონიშვილი

წყარო 2

„თავდაპირველად კახეთის სამეფოს ორგანიზაცია ჩრდილო რაიონებში იწყება. ბარი... ჩამოდის ისტორიული ამბების სცენიდან. მთა იწყებს ბრძოლას არაბთა უღლის გადაგდებისა და სამთავროს ორგანიზაციისათვის. ამ ბრძოლის სათავეში წანარები დგანან. წანართა ცენტრი, დაახლოებით, დღევანდელი ყაზბეგის რაიონია... სწორედ აქედან იწყება წანართა შეტევა კახეთის ბარზე. ჩრდილოეთი თანდათან უტევს ბარს და იმორჩილებს კიდევ მას. ეს მთისა და ბარის ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა... VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში კახეთის გაერთიანება წანართა მოთავეობით მომხდარი ფაქტია“.

მ. ლორთქიფანიძე.

წყარო 3

ბასიანის ომის დროს (XI ს-ის 20-იანი წწ.): გიორგი I-მა „მოირთო (შეიერთა) ძალი კახეთისა.“ „მატიანე ქართლისაი“.

„გაძლიერდა გიორგი ლაშქრითა, რამეთუ მოიყვანა წანარნი.“

სუმბატ ღავითის ძე.

წყარო 4

„კახეთის დედაქალაქი“ არს თელავი, რომელი ჰყო კვირიკემ პირველ გამეფებულმან კახეთს, სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი.

კვირიკე მეფემან დასხა ერისთავნი სამი კახეთს და ოთხი ჰერეთს. ერთი დასუა რუსთავს და მისცა სრულიად კუხეთი, ... მეორე დასვა კვეტერასა, მისცა... ერწო-თიანეთი, ფხოველნი, ძურძუკნი და ღვლილვი, მესამე პანკისსა, და მისცა ჰერეთის საზღვრისზეთ კავკასამდე...

ხოლო ჰერეთს დასუა პირველი ხორნაბუჯს, მეორე ვეჯინს, მესამე მაჭისა და მეოთხე შტორისა და ამანვე შეაერთა კახეთი და ჰერეთი“.

ვახუშტი ბატონიშვილი.



სურ. 2.4.2.2. კვეტარი.

კითხვები

1. რაზე მიუთითებს სხვსდასხვა ქართულ წყაროში კახელებისა და წანარების ერთი მნიშვნელობით მოხსენიება?
2. როგორ ფიქრობ, რამ შეუწყო ხელი მთის ტომის გავლენის გაძლიერებას კულტურულად დაწინაურებულ ბარზე?

დავალება 1

დაახასიათე კახეთის სამთავროს ადმინისტრაციული მოწყობა და განსაზღვრე, რა მიზანს ისახავს კვირიკე ღიდის ადმინისტრაციული ღონისძიება.

კახეთის მთავარს ქორეპისკოპოსი ეწოდებოდა. წანართა ქორეპისკოპოსი თავისი თავდაპირველი მნიშვნელობის შესაბამისად სასულიერო პირი იყო, რომელიც კახეთის მთიანეთის სულიერ ცხოვრებას უძღვებოდა. მოგვიანებით, როგორც ჩანს, საერო ძალაუფლებაც შეითავსა. თავდაპირველად ქორეპისკოპოსობა არჩევითი იყო („განაჩინეს ქორეპისკოპოსად“ – წერს ქართველი მემატთანე), დროთა განმავლობაში კი მემკვიდრეობითი გახდა. შესუსტდა მისი სასულიერო ფუნქციაც და უზენაეს საერო ხელისუფლად ჩამოყალიბდა.

ეს საინტერესოა:

თანამედროვე უცხოური წყაროები კახეთის სამთავროს „სანარიას“ (წანარიას) უწოდებდნენ.

ბიზანტიის ოფიციალური ხელისუფლება კახეთის ქორეპისკოპოსს „წანართა არხონტად (მთავარად)“ მოიხსენიებდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კახეთის მთავრის ტიტულის შესახებ განსხვავებული მოსაზრაც გვხვდება:

„ქორეპისკოპოზი უმეცარსა მწერალსა „ქართლის ცხოვრებაში“ გაურყვნია. ქორიკოზი ქარაგმით ქორეპისკოპოზი ჰგონებია. ქორეპისკოპოზი – უსამწყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძნულად და ქორიკოზი მეფის ნაცვალსა ჰქვიან“.

სულხა-საბა ორბელიანი.

ისტორიკოსები დ. ბაქრაძე, ნ. ბერძენიშვილი და გ. ჩუბინიშვილი იზიარებენ სულხა-საბა ორბელიანის მოსაზრებას, კახეთის მთავრის „ქორიკოზობის“ (მეფის ნაცვლობის) შესახებ; მ. ბროსე, ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია კი „ქორეპისკოპოსობას“ ანიჭებენ უპირატესობას.

გადახედე მოცემულ წყაროებს და განსაზღვრე, რომელ ვერსიას ემხრობა ვახუშტი ბატონიშვილი.

აღწერა კახეთისა

„ხოლო ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა... ნაყოფიერებენ ყოველნი, ... აბრეშუმით, ბრინჯით, ბამბით, და ხურმა და წაბლი იმერეთისაგანცა აქ უმჯობესი არს. არა სთესავენ ღომს, არცა არს კირჩხიბი აქა. ხოლო ხილნი აქაურ უმჯობეს არიან ქართლისასაცა, და თაფლი იმერეთისა უმჯობეს და უძრავლეს აქაურთა“

ქართული სამეფო – სამთავროების წარმოშობა

დამატებითი მასალა

აღწერა ეგრისის ქვეყანისა ანუ აფხაზეთის, ანუ იმერეთისა

„მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ ფრიად, გარნა ბრინჯ-ბამბას სთესენ იშვიათ და ეგრეთვე სორბალსა, ღომსა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიანცა მით. ... აბრეშუმს აკეთებენ და ქსოვენ ლარს უოქრომკედოსა, და ხმარობენ სხუებრცა. ეგრეთვე ბამბასა და კანაფთაგან ტილოსა.

აქა არს ხურმა, წაბლი და ვაშლ-ატამი ქართლზედ მეტი, მელსა-პეპონი (საზამთრო) და პუნპულა (ნესვი) უმუშაკოდ ნაყოფიერებენ. სოკო მრავალნი სხვადასხვანი... ნიყვი არს.

პირუტყვნი თვინიერ აქლემისა არს ყოველი... ცხოვარნი უღუმონი და კუდიანნი, მარადის მშობელი ტყუპთა, და ოდესმე სამ-ოთხთა... ძროხა, კამბეჩი, ცხენი ჯოგად...

...თევზნი არიან ლოქო, გოჭა, ბოლო წითელი, კობრი, და წვრილნი თევზნი და კალმანნი მრავალნი... რიონსა შინა იპყრობენ ზუთხსა ...“.



სურ. 2.4.2.3. რიწის ტბა. აფხაზეთი.

ვახუშტი ბატონიშვილი.

დავალება 2

ა) დაიყავით ჯგუფებად და გაიხსენეთ, რომელ სამეურნეო დარგებს მისდევენ დღეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში; როგორია მისი ფლორა და ფაუნა; შეადარე ისინი ისტორიულ მონაცემებს და აღმოაჩინე მსგავსება და განსხვავება.

განმარტებები

ფხოველნი – ფხოვის (თანამედროვე ფშავ-ხევსურეთის) მკვიდრნი.

ღლიღვი – ჩენებისა და ინგუშების (ჩრდ. კავკასიელი ხალხები) ძველი სახელწოდება.

§ 3. ტაო-კლარჯეთის სამეფო

ტაო-კლარჯეთის სამთავროს ჩამოყალიბება (IX საუკუნის დამდეგი) აშოტ ბაგრატიონის – ქართლის ბოლო ერისმთავარის სახელს უკავშირდება. როგორც იცით, ერისთავები ქართლში არაბი მმართველების მხრიდან სისტემატურ დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ, საფრთხე აშოტსაც დაემუქრა.

წყარო 1

„ხოლო აშოტ მთავრობდა ქვეყანასა მას შინა (ქართლში)... გაძლიერდა ხელმწიფება აგარიანთა (არაბები) და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა, და ვერ უძლო წინააღმდეგოდ მათდა აშოტ და ილტვოდა მათგან... დედაწულითურთ და შვილითურთ. და მოიწივნენ ხევსა შავშეთისასა. ხოლო ხევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ, რამეთუ ყრუმან შემუსრა და... მოაოხრა... და მცირედლა დარჩეს კაცნი ადვილ-ადვილ. ...მათ მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი (აშოტი) სინარულითა და სიყვარულითა, და დაემკვიდრა მუნ. მისცა ღმერთმან გამარჯვება და ასელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა.

და ამან აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოხრებულ იყო... იგი განაახლა აშოტ და... აღაშენა ქალაქი“.

სუმბატ დავითის ძე.

წყარო 2

„განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა. რამეთუ მათვე ჟამსა შესრულ იყო მასლამა (არაბი სარდალი) საბერძნეთად, და შეიქცა მოუძღურებელი და გაწბილებული. მაშინ ბერძენთა მეფემან მოუბოძა კურაპალატობა აშოტს. მოუძღურებულ იყვნეს სარკინოზნი (IX ს.-ის დასაწყისი) და განდიდა აშოტ... და დაიპყრა (ქვეყანა) კლარჯეთიდან ვიდრე ქსნამდე“

„მატიანე ქართლისაი“.



სურ. 2.4.3.2. არტანუჯი.

ქართული საზოგადოების განვითარების ისტორიის მუზეუმი

აღმოსავლეთ საქართველო

წყარო 3

„ამას აშოტს კეისარმან მოსცა კურაპალატობა... ამან აშოტ... აღაშენა დაბები და განამრავლა სოფლები. და მრავალგზის მოსცა ღმერთმან ძლევა ძლიერი სარკინოზთა ზედა, და დაიპყრა ქვეყანა ნებითა ბერძენთათა“.

ვასუშტი ბატონიშვილი.

კითხვები

1. გაიხსენე ქართლის ერისმთავართა მიმართ არაბი მმართველების დამოკიდებულება და ივარაუდე, რა შეიძლებოდა გამხდარიყო აშოტ კურაპალატის ღვევის მიზეზი?
2. წყარო 1-ისა და 2-ის მიხედვით ისაუბრე გარეშე ფაქტორების როლზე ტაო-კლარჯეთის სამთავროს ჩამოყალიბებაში.
3. წყარო 2-ისა და 3-ის მიხედვით იმსჯელე, როგორია ბიზანტიისადმი ტაო-კლარჯეთის დამოკიდებულება – არის დაპყრობილი, გავლენის ქვეშ მყოფი თუ მოკავშირე ქვეყანა?

ტაო-კლარჯეთში ფართოდ გაიშალა სამონასტრო საქმიანობა, რომლის ინიციატორი და ხელმძღვანელი გრიგოლ ხანძთელი იყო (759-861 წწ.). გრიგოლ ხანძთელს მრავალრიცხოვანი მოწაფე და მიმდევარი გამოუჩნდა. მათი მოთავეობით შენდება ხანძთის, შატბერდის, გუნათლეს, მერის, უბეს, ზარზმის, პარხლის, იშნისა და სხვა ეკლესიამონასტრები.



სურ. 2.4.3.3. აშოტ კურაპალატი.

წყარო 4

ამ სამონასტრო მოძრაობას საქართველოსთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომაც, რომ ბერებს უდაბნო ადგილების ძებნაში ყურადღება უნებლიედ საქართველოს აონხრებულ, უშენ და უღვაწ კუთხეებისთვის უნდა მიექციათ და მიაქციეს კიდევ. მათმა იქ დაშენებამ უდაბური ტყეებით მოცულსა და მტრისაგან განადგურებულს ადგილებში კვლავ სიცოცხლისა და კულტურის კერა შექმნა. უგზო-უკვლო ადგილებში გზები გაკეთდა, გაუვალ ტყეებში მშვენიერი შენობები აიგო, დიდებული ნანგრევები, მიტოვებული ციხე-ქალაქები და ეკლესიები განახლდა, ...უდაბურს უტყვეს ქვეყანაში ადამიანთა ცხოველი სიტყვა გაისმა, დაბა ქალაქებით მოიფინა, მიუდგომელ ადგილებზე მონაზონთა და ახალშენთა მეღვარის შრომის წყალობით ნახნავეები გაკეთდა და მშვენიერი მტილ-ვენახები გაშენდა...“.

ივ. ჯავახიშვილი.


წყარო 5

„ხანძთის მშენებლობისას „გაბრიელ, დიდებულმან აზნაურმან, ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა... და მოსცნა კიროთხურონი და ნივთი ყოველი ქვიტკირისა ეკლესიის საშენებლად“.


შატბერდის მშენებლობისას ბაგრატ კურაპალატმა „...სისარულით მოსცა... ყოველივე სახმარი საშენებლად“.

ხანძთის ახალი ეკლესიის მშენებლობისას აშოტ კუხმა (ერი-სთავი) „ურიცხვი შესაწირავი გარდაჰმატა მას“.

ვიორგი მერჩულე.



სურ. 2.4.3.4. ზარზმა.




სურ. 2.4.3.5. ოშკი.

კითხვები

1. შენი აზრით, რამდენად ეხმიანებოდა გრიგოლ ხანძთელისა და მისი მიმდევრების მოქმედება საქართველოს სახელმწიფო მესვეურთა მისწრაფებას ქვეყნის აღორძინება-გაერთიანებისაკენ?
2. რა მნიშვნელობა ჰქონდა სამონასტრო მშენებლობებს ერისკაცთა სახელმწიფოებრივი მიზნების მიღწევისათვის?
3. როგორ ფიქრობ, შეძლებდა საერო ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე სამონასტრო საქმიანობა ფართოდ გაშლას?

❖ ბაგრატიონთა საგვარეულო წარმოშობით სპერის ოლქიდან არის (ისპირი – საქართველოს ისტორიული პროვინცია, დღევანდელი თურქეთი). ბაგრატიონთა ერთი შტო სომხეთში აღზევდა და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას დაუდო საფუძველი, ხოლო მეორე – საქართველოში დაემკვიდრა და 900 წელზე მეტ ხანს მეფობდა.

გარდა იმისა, რომ ბაგრატიონთა დინასტია ერთ-ერთი უძველესია და ყველაზე ხანგრძლივი ევროპულ დინასტიათა შორის, „ამ სამეფო საგვარეულოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი წარმომადგენლები არა მარტო ღირსეულად ემსახურებოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეს... არამედ ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ქვეყანაში კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. ...სწორედ ამ დინასტიის არაჩვეულებრივმა შემოქმედებითმა პოტენციალმა წარმოშვა არაერთი სახელოვანი პოეტი, მწერალი და... მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი.“



სურ. 2.4.3.6. ბაგრატიონთა გერბი.

რ. ჩიქოვანი.

❖ როგორც უკვე იცით, ანტიკურ ეპოქაში ქვეყნის მმართველი თავს ხშირად ღმერთად აცხადებდა და ქვეშევრდომთაგან სათანადო თაყვანისცემასა და მორჩილებას მოითხოვდა. ქრისტიანული სამყაროსათვის კერპად თავის გამოცხადება მიუღებელი იყო, მაგრამ ხელისუფლები ღვთიური წარმოშობის იდეას ვერ ელეოდნენ მაგალითად, ევროპულ სამეფო საგვარეულოთა (თიულორები, ჰოჰენცოლერნები და სხვანი) მემკვიდრეების მტკიცებით ღმერთმა ქვეყნის შექმნისას სანიმუშო წესრიგი დაამყარა და ყველას თავისი ადგილი განუჩინა, მეფესაც ძალაუფლება ღვთისგან ებოძა.

სხვა სამეფო დინასტიების მსგავსად, ქართველი ბაგრატიონებიც ცდილობდნენ წინაპრები ბიბლიურ პირთა შორის ეპოვებინათ და თავს „... დავითიან, სოლომონიანებს“ უწოდებდნენ.

„სოლომონ შვა შვიდნი ძმანი... და ესენი შვიდნი ძმანი წარმოვიდეს და დაშთეს ქუეყანათა სომხითისათა და დღეინდელად დღემდე მთავრობენ სომხეთს.

და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს. ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად; და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა.“

სუმბატ დავითის ძე.

„დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო,“ – მიმართავს აშოტ კურაპალატს გრიგოლ ხანძთელი.

გიორგი მერჩულე.

„თვით სამოცდამეთვრამეტემან შვილმან დავითისამან, დავით“, – წერს დავით აღმაშენებელის შესახებ მემატიანე.

დავალება 1

(აირჩიე მოცემულ დავალებათაგან ერთ-ერთი)

1. როგორ ფიქრობ, რატომ უწყევდა განსაკუთრებულ მფარველობას სამეფო კარი მეცნიერებასა და კულტურას?
2. როგორ ფიქრობ, რატომ ცდილობდნენ სამეფო დინასტიები თავიანთი გვარის ღვთიური წარმომავლობის დამტკიცებას?

დამოუკიდებელი სამუშაო

1. მოიპოვე ინფორმაცია გაკვეთილში მოხსენიებული ისტორიული ძეგლების შესახებ. დაადგინე, რომელმა მათგანმა მოაღწია დღემდე და რომელია დღევანდელი საქართველოს ფარგლებს მიღმა.
2. გადაიტანე კონტურულ რუკაზე ჩამოთვლილი ისტორიული ძეგლები.

განმარტებები

მტილი – ბალი, ბალ-ბოსტანი.


კირითხურო – იგივეა, რაც კალატოზი.

§ 4. თბილისის საამირო და „ახალქალაქების ხანა“

ა) თბილისის საამირო

IX საუკუნის დამდეგს ქართული სამეფო-სამთავროების ბრძოლას დამოუკიდებლობისა და პირველობის მოსაპოვებლად თბილისის საამიროც უერთდება.

დამოუკიდებლობისათვის სწრაფვა განსაკუთრებით თვალსაჩინო ამირა ისპაკ იბნ შუაბის დროს გახდა, რომელსაც ქართული წყაროები ამირა საჰაკად მოიხსენიებდნენ. იგი 23 წლის განმავლობაში თითქმის დამოუკიდებლად მართავდა საამიროს, რაც პირველ რიგში სახალიფოსათვის ხარკის შეწყვეტით გამოიხატებოდა. ურჩობა, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ რჩებოდა, და ამას სახალიფოსაგან დამსჯელი ექსპედიციები მოსდევდა ხოლმე. სახალიფოსა და საამიროს შორის წარმოებულ ბრძოლებში ქართველი მეფე-მთავრებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, მათი ნაწილი თბილისის ამირას ემხრობოდა, ნაწილი კი სახალიფოს სარდლებს უჭერდა მხარს.



სურ. 2.4.4.1. თბილისის საამირო.

მათი ნაწილი თბილისის ამირას ემხრობოდა,

ქართული სამეფო-სამთავროების წარმოშობა

თბილისის საამირო და „ახალქალაქების ხანა“

წყარო 1

ქართლის დასაკავებლად „გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, უშველა თეოდოსი აფხაზთა მეფემან... რომელი იყო სიძე აშოტ კურაპალატისა, მოვიდა გრიგოლ (ქორეპისკოპოსი, რომელსაც ქართლის ნაწილი ეპყრა) კახეთით, გრიგოლს უშველის მთიულთა... და ამირამან ტფილელმან, და შეიბნენ... გააქციეს გრიგოლ და დაიპყრეს ქვეყანა რომელი ჰქონდა ქართლისაგან“.

„მატიანე ქართლისაი“.

წყარო 2

საჰაკის დასამორჩილებლად ლაშქრობა არმენიის ვალს, მუჰამედს, დაევალა:

„მოჰამედ მოვიდა ქართლს, მოერთო (ეახლა) მას ბაგრატ ძე აშოტ კურაპალატისა, და მისცა მას ქართლი“.

„ხოლო ვითარ მოვიდა მოჰამედ ქართლს... გამოვიდა საჰაკ ლაშქრითა... და მოვიდნეს კახნი შველად საჰაკისა... და იყო ბრძოლა მათ შორის.“

„მატიანე ქართლისაი“.

წყარო 3

853 წელს ამირა საჰაკისა და არაბული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებული სომხეთის დამორჩილება ხალიფამ ცნობილ სარდალს ბულა თურქს დაავალა:

„მაშინ მოვიდა მონა, თურქი, ბაღდადით, სპითა დიდითა: შემუსრა ყოველი სომხითი და ტყვე ყვნა ყოველი მთავარნი მისნი, და მოვიდა და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილებდა ამირა სააკ. მოკლა საჰაკ, შემუსრა ტფილისი, დაწვა ცეცხლითა და მოაოხრნა ყოველნი არენი მისნი.

და თეოდოსი, მეფე აფხაზთა, გამოვიდა წინააღმდეგად მისა. ხოლო ბულამ ვითარცა ცნა, წარავლინა სპასალარი თვისი, და ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა. შეიბნეს და გააქციენეს აფხაზნი, და მოსწყდა სიმრავლე ურიცხვთა.

... ბულამ განაღო კარი დარუბანდისა და გადმოიყვანა ხაზარნი სახლი სამასი, და დასხნა ივინი შანქორს. ... და წარვიდა ბულა.“

„მატიანე ქართლისაი“.

დავალება 1

1. წყაროების 1-ის, 2-ისა და 3-ის მიხედვით, როგორ ახსნით თბილისის ამირის მოკავშირეთა და მოწინააღმდეგეთა რიგებში ქართველ მეფე-მთავართა ყოფნას?
2. შენი აზრით, პირველობისათვის მებრძოლ რომელ სამეფო-სამთავროს ხელმძღვანელს ჰქონდა მეტი უფლება და შესაძლებლობა გამხდარიყო ერთიანი საქართველოს მეფე?
3. როგორ ფიქრობ, შეიძლებოდა თუ არა, რომ თბილისის საამირო ჩასდგომოდა სათავეში საქართველოს გაერთიანების პროცესს?
4. ისაუბრე ბულა თურქის ლაშქრობის შედეგებზე.

IX საუკუნის 80-იანი წლებიდან თბილისს ამირა ჯაფარი განაგებს. ხალიფას არც ის უხდის ხარკს. მეტიც, ამირობას მემკვიდრეობით უმტკიცებს შთამომავლებს და ჯაფარიანთა დინასტიას სათავეს უდებს, რომელიც თითქმის ორასი წლის განმავლობაში მართავდა თბილისს.

წყარო 4

„თავისდათავად ტფილისის დამოუკიდებელი საამიროს დაარსება არაბთა ძლიერების აუცილებელი დამხობის მომასწავებელი იყო, მაგრამ მაინც ტფილისის საამირო კიდევ კარგა ხანს საკმაოდ ძლიერი იყო, რომ მასაც თავისი პოლიტიკა ეწარმოებინა და ატეხილ ბრძოლაში მუდამ მონაწილეობა მიეღო“.
ივ. ჯავახიშვილი.

ეს საინტერესოა:

❖ 914 წელს სახალიფომ აბულ ყასიმის სარდლობით ამიერკავკასიაში კიდევ ერთხელ გამოავაზნა ჯარი, რომელმაც სომხეთი და ტაო-კლარჯეთი ააოხრა. აბულ ყასიმის ლაშქრობა საქართველოს ისტორიაში არაბთა ბოლო ლაშქრობად ითვლება.

❖ ისტორიული წყაროები საინტერესო ცნობებს იძლევიან თბილისში არსებული ადმინისტრაციული თანამდებობების შესახებ – დღევანდელი გავებით პოლიციელის მოვალეობას „შურტები“ ასრულებდნენ, ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა სწორედ მათ ევალებოდათ.

„მუჰთასიბი“ იყო მოხელე, რომელიც თვალყურს ადევნებდა მოქალაქეთა საქციელსა და ზნეობას; მის მოვალეობას ასევე შეადგენდა ქუჩების კეთილმოწყობა და მოქალაქეთაგან ვალის ამოღება, გარდა ამისა იგი უნდა „ამოწმებდეს სასწორების სიზუსტეს და დადებულ ფასებს, თვალყურს ადევნებდეს ვაჭრობას, რომ ყველაფერი რიგზე იყოს... რომ არ ჰქონდეს ადგილი მოტყუებას“. (ნიზამ ალ-მულქი, არაბი ისტორიკოსი)

ქალაქში შემოსულ საქონელზე ბაჟის დაწესებასა და გადასახადების აკრეფისათვის ყურადღება „მუმ-რიბს“ უნდა მიექცია.

ამირას კარის მიმოწერას სახალიფოსთან თუ სხვა სახელმწიფოებთან, აგრეთვე ოფიციალური საბუთების წარმოებას, სპეციალური მოხელე – „ამადი“ განაგებდა.

თბილისის მაჰმადიან მოსახლეობას ამირას კარზე თავისი წარმომადგენელი ჰყავდა – რომელსაც „რაისი“ ეწოდებოდა. რაისები იმავდროულად ვაჭართა და ხელოსანთა ამხანაგობების მეთაურებიც იყვნენ. ქართული წყარო მათ „თბილელ ბერებს“ (უხუცესებს) უწოდებს.

მართლმსაჯულებას „ყადი“ განაგებდა.

❖ არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით, როცა ბუღა თურქის ლაშქრობისას თბილისი გადაწვეს, 50000 კაცი დაღუპულა. ეს ციფრი სავარაუდოდ გადაჭარბებულია, მაგრამ ქალაქის მრავალრიცხოვნობას მიუთითებს. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო. VIII საუკუნის შუახანებში ამირას სასახლე – „საამირო დარბაზი“ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იდგა, დღევანდელი ბოტანიკური ბაღისაკენ მიმავალ გზაზე. მტკვრის მარცხენა სანაპიროზევე აგებენ არაბები საკუთარ ციხეს – „სოლდებილს“.


აქვე გადადის თანდათან საცხოვრებლად თბილისის არაბი არისტოკრატია. ქართველები კი უმეტესად ძველ უბანში – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე რჩებიან.

კითხვები

1. შენი აზრით, ქალაქის მართვისათვის რომელი თანამდებობებია მნიშვნელოვანი?
2. არსებობს თუ არა, შენი აზრით, რუბრიკაში „ეს საინტერესოა“ მოხსენიებული თანამდებობების თანამედროვე შესატყვისები?
3. რუბრიკა „ეს საინტერესოა“ მიხედვით იმსჯელე თბილისის საამიროს ეკონომიკური განვითარების შესახებ.

დამოუკიდებელი სამუშაო

ა) გააკეთე ცხრილი და მასში განათავსე ქართველი მეფე-მთავრები იმის მიხედვით, თუ რა პოზიცია ეკავათ მათ სახალიფოსა და საამიროს მიმართ. იქვე, შენიშვნის სახით, მიუთითე, მისაღებია თუ არა შენთვის მათი პოზიცია.



სურ. 2.4.4.2. თბილისის გეგმა.

ბ) გაანალიზე ტაო-კლარჯეთის მმართველთა შესახებ წყაროში მოცემული ინფორმაცია და დაწერე ესე – „მიზანი ამართლებს საშუალებას“. გამოხატე შენი დამოკიდებულება გაერთიანებისათვის ბრძოლის მათეული ტაქტიკის მიმართ.

ბ) ახალქალაქობა

არაბთა შემოსევებმა, გამუდმებულმა ნგრევამ და სისხლის ღვრამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა.

წყარო 1

„მათი გამანადგურებელი შემოსევების სიმწვავე, პირველ რიგში, როგორც წყაროები გვაუწყებენ, ქალაქების ხვედრი ყოფილა. ამ ლაშქრობათა დროს დაქცეულ ქალაქთაგან ბევრი აღარც აღორძინებულა. დამახასიათებელია წყაროების გამოთქმები: „და იყო ქალაქი ყრუსადმდე“ – ურბნისი; „აწ არღა არს ქალაქი, არამედ დაბა, რამეთუ შემდგომად ყრუსა მოიხრდა“ – მცხეთა; ან კიდევ, „იყო ქალაქ და ციხე ყრუმდე... და აწსცა ოხერ არს“ – ხორანთა“.

თ. გამსახურდია.

საწყის ეტაპზე, სახალიფოშიც ნაკლებად იყო ვაჭრობა-ხელოსნობა განვითარებული. ქალაქი მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმებად აღიქმებოდა, მოსახლეობის ნაწილი კი ვაჭრობას სათაკილოდ მიიჩნევდა და უპირატესობას, როგორც შემოსავლის წყაროს, ომს ანიჭებდა.

მდგომარეობა VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვეთრად შეიცვალა: ხალიფათა ახალი დინასტია – აბასელები, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას, ეკონომიკური კავშირების გაფართოებას, გზების კეთილმოწყობას და ქალაქების აღმშენებლობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. სახალიფოს ეკონომიკური აღმავლობა მის დაქვემდებარებულ ქვეყნებზე და, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოზეც აისახა. მით უმეტეს, რომ ბიზანტიასთან გართულებული მდგომარეობის გამო, საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალმა მტკვრის აუზში გადაინაცვლა.

ძვრები საქართველოს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში (სამეფო სამთავროების, ახალი პოლიტიკური ცენტრების წარმოშობა და აღორძინებისაკენ სწრაფვა) ხელს უწყობს ქვეყნის სამეურნეო აღმავლობას, მიტოვებული, გაუდაბურებული ადგილების ხელახალ ათვისებას. აღორძინდა და დაარსდა არაერთი ქალაქი – აღდგა ქუთაისი, რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი; აშენდა დმანისი, ახალქალაქი, თმოგვი, ოლთისი და სხვა ქალაქები. IX-X საუკუნეებს ისტორიკოსები „ახალქალაქების ხანასაც“ კი უწოდებენ.

დავლება 1

- 1. ისაუბრე სავაჭრო გზის მნიშვნელობაზე ქალაქებისათვის.
- 2. ისაუბრე ქალაქის მნიშვნელობაზე ქვეყნისათვის.

X საუკუნეში წარმოიშვა ქალაქი თელავი, რომელიც შაქისაკენ მიმავალ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და სწრაფად დაწინაურდა. არაბი მემკვიდრე ალ მუკადდასი თელავს (არაბულად თებლას) ისეთივე მნიშვნელოვან ქალაქად თვლიდა, როგორც შამქორი, განჯა, შირვანი და სხვა დიდი სავაჭრო ცენტრები იყვნენ. მისივე ცნობით, თელავი საკმაოდ ხალხმრავალ ქალაქად წარმოგვიდგება – მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქრისტიანი იყო, რომელთა გვერდით 500 მაჰმადიანი კომლიც ცხოვრობს.

ამავე პერიოდში აშენდა ქალაქი არტანუჯი. მის სტრატეგიულ მდებარეობას, ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალმა მიაქცია ყურადღება და აქ ციხე-სიმაგრე ააშენა. არტანუჯის მდებარეობა სხვა მხრივაც ხელსაყრელი აღმოჩნდა – მასზე თბილისიდან ბიზანტიისაკენ მიმავალი გზა გადიოდა. გარდა ამისა, არტანუჯის მეშვეობით უკავშირდებოდნენ სომხეთის ქალაქები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და დასავლეთ საქართველოს. ამის შედეგად არტანუჯი საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქად იქცა.

წყარო 2

„არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბატიც და დაბა-ქალაქიც; და იქ მოდის საქონელი ტრაპაზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის. არტანუჯის მიწა-წყალი დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“.


კონსტანტინე პორფიროგენეტი.

თბილისი როგორც საამიროს დედაქალაქი, თავისი აღმოსავლური იერით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა ქართული ქალაქებისგან.

თავდაპირველად არაბებმა თბილისზე არჩევანი სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებით შეაჩერეს. მოგვიანებით ის ამიერკავკასიაში უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ცენტრად ჩამოყალიბდა, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო, თუ გავითვალისწინებთ მის მდებარეობას – თბილისზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი მსოფლიო სავაჭრო გზა გადიოდა. არაბთა მფლობელობამ თბილისის მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვნად გაააქტიურა.

წყარო 3

„...მას (თბილისს) გარს შემოვლებული აქვს ორმაგი თიხის კედელი სამი კართი; ეს არის ქალაქი ნაყოფიერი, გამაგრებული, მდიდარი პროდუქტებითა და იაფი ფასების თვალსაზრისით; კეთილდღეობით იგი აღემატება სხვა დანარჩენ მდიდარ სახელმწიფოებსა და ნაყოფიერ ქვეყნებს. ერთმა კაცმა, რომელსაც იქ თაფლი უყვია, მითხრა, რომ ოც რიტლზე მეტი შეუძენია ღიპრემად. ეს ქალაქი წარმოადგენს მნიშვნელოვან სასაზღვრო ოლქს ყოვლის მხრიდან მტრებით გარემოცულს. აქ არის აბანოები... სადაც წყალი უცეცხლოდ ცხელია. ქალაქი მდებარეობს მდინარე მტკვარზე. თბილისში მცურავი წისქვილებია, სადაც ფქვევენ ხორბალსა და პურის მარცვალს... მისი მცხოვრებლები ისეთი ხალხია, რომელთა შორისაც არის უშიშროება და კეთილად მიღება უცხოელისა, კეთილგანწყობილება მათთან შემთხვევით მოხვედრილისადმი”.



სურ. 2.4.4.3. აბანოთუხანი, თბილისი.

იბნ ჰაუქალი,
X საუკუნის არაბი გეოგრაფი.

კითხვები

1. ისტორიულ ცნობებში არტანუჯისა და თელავის შესახებ იპოვე მონაცემები, რომლებიც მათ ყოფაში აღმოსავლური ელემენტის არსებობაზე მიუთითებენ.
2. როგორი ტიპის ქალაქს მიაკუთვნებდი თბილისს – სავაჭროს, სამხედროს, სამრეწველოს თუ რომელიმე სხვას?

❖ არქეოლოგიური მონაცემები საინტერესო ცნობებს იძლევა ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრების შესახებ. ქალაქის ნაგებობები უმთავრესად რიყის ქვებისაგან ან თიხის გამოძვარი აგურისაგან იყო ნაშენები. არისტოკრატთა საცხოვრებლები მოჭიქული კრამიტით იყო გადახურული, გარს ბაღი და გალავანი ერტყა.

თბილისის უბნები ერთმანეთს მოკირწყლული ქუჩებით, ანუ „შუკებით“ უკავშირდებოდა.

ყურადღება ექცეოდა ქალაქის ბაღებით გამშვეიერებასა და ქალაქის დასუფთავებას. საგანგებოდ იყო გამოყოფილი ადგილები, სადაც ნაგავი იწვებოდა. კერამიკული ნაწარმის ნაშთებს მიწაში მარხავდნენ ან მტკვარში ყრიდნენ. საწარმოებიდან დაბინძურებული წყალი თიხის მილებით მტკვარში გაედინებოდა.

სახლების უმრავლესობას ჰქონია ცალკე გამოყოფილი სამზარეულო, რომლის შუაგულში კერია იყო მოთავსებული. პურის საცხობად თონეებსაც აგებდნენ.

აღმოჩენილი საოჯახო ჭურჭლი – დოქები, ჯამები, ლანგრები, საწვნეები, დერგები თუ სამარილები უმთავრესად ადგილობრივი ხელოსნების ნახელავია. ჭურჭელს სპილენძისგან, თიხისგან, ხისგან და მინისაგან ამზადებდნენ. როგორც ჩანს, თბილისელები ესთეტიკურ მხარეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

„ჭურჭლის მოყვანილობა-პროპორციებშიც, ჭიქურის ფერებსა და ელფერშიც. მრავალფერად შესამებაში, და მოხატულობასა და ორნამენტშიც ჩანს გემოვნება, ხალისიანი და კარგი ფანტაზია... სახელოსნოს ნანგრევთა შორის აღმოჩენილი მოჭიქული წითელკეციანი კერამიკა წარმოადგენს ჩვეულებრივ საოჯახო ჭურჭელს, უბრალო მოხმარებისათვის განკუთვნილსა და ადვილად მისაწვდომს“.

გ. ლომთათიძე.

❖ თბილისელთა საყვარელ თავშეყრის ადგილს აბანოები წარმოადგენდა. მოქალაქეთა ჩაცმულობა მატერიალური მდგომარეობისა და სარწმუნოებრივი კუთვნილების მიხედვით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან – ქართველი დიდებულები, არაბი მოხელეები, ვაჭრები, თუ სასულიერო პირები, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარად იმოსებოდნენ.

ქართველ მეფე-მთავრებს ამ დროისათვის: „ეცვათ ბისონი, რომელიც ძვირფასი ნაჭრისაგან იყო შეკერილი. ბისონის შუაგული თავიდან ბოლომდე ძვირფასი ქსოვილით – დიადემით იყო შემკული, ბისონის ქვევით იცვამდნენ პურანგის მსგავს ტანსაცმელს – პოდრს, რომელსაც ქართულად ფესვედი ტანსაცმელი ერქვა. ფესხაცმელს მეფეები წითელი ტყავისას ატარებდნენ და მას „ტარსიკონს“ ეძახდნენ... დედოფლის

ქართული სამეფო-ამნციფი

აღიღიფე სთიბენციფი

ტანსაცმლის დეტალია მანდილი, მათ საყურეებიც ეკეთათ. ქალის თავსაბურავის კუთვნილებას რიდეც შეადგენდა“

ივ. ჯავახიშვილი.

„ამ ეპოქის (X-XI სს.) დედოფალთა ტანისამოსი უფრო გრძელი იყო. მათაც ბისონები ეცვათ, მაგრამ უფრო გრძელი, ისე, რომ კოჭებიც არ უჩანდათ“

ნ. ჩოფიკაშვილი.

❖ თბილისში, ჯერ კიდევ VI საუკუნიდან მოყოლებული, მოქმედებდა ზარაფხანა, სადაც მონეტებს ჭრიდნენ. ზარაფხანას არაბობის პერიოდშიც არ შეუწყვეტია მოქმედება, ოღონდ ამჯერად, რა თქმა უნდა, არა ქართულ, არამედ არაბულ ფულს უშვებდა. IX საუკუნის 80-იანი წლებიდან თბილისის ამირებმა საკუთარი დამოუკიდებლობის ხაზგასასმელად ხალიფას სახელის გვერდით ვერცხლის მონეტაზე საკუთარი სახელის ამოჭრაც დაიწყეს.

თბილისში მოჭრილი მონეტა, არაბულ დირჰემებთან ერთად, რუსეთში, ბალტიისპირეთსა და სკანდინავიაში არის აღმოჩენილი.



სურ. 2.4.4.4. თბილისის ამირას მიერ მოჭრილი მონეტები.

დამოუკიდებელი სამუშაო

წარმოდგინე შესწავლილი პერიოდის ქალაქი, დახატე მისი გეგმა, განათავსე გეგმაზე, შენი აზრით, ქალაქისათვის აუცილებელი შენობები, საცხოვრებელი სახლები, პარკები და ა. შ. აღწერე მისი მმართველობა, მოსახლეობა და ყოფა-ცხოვრება.

განმარტებები

დირჰემი – არაბული ვერცხლის ფულის ერთეული.

რაბათი (არაბ.) – აღმოსავლურ ქალაქში ვაჭრებითა და ხელოსნებით დასახლებული უბანი.

რიტლი – წონის ერთეული, დაახლოებით ნახევარი კილოგრამი.

ბისონი – წ.